საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/5336
16/09/2022

5336-21-2-202209161145

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემას“
მის: ქ. თბილისი, ბარათაშვილის ქ. №2
ელ. ფოსტა: nino.erkomaishvili@gse.com.ge

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №3903 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. გუმბრაში, ჯვარი-წყალტუბოს 500 კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზისა და ქვესადგურის ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას (ორი მისასვლელი გზის ნაცვლად ერთის მოწყობა).

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი GPS კოორდინატები არ ემთხვევა Shp ფაილებს.
- დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საპროექტო გზის მთლიანი სიგრძე შეადგენს დაახლოებით 880 მეტრს, ხოლო სკრინინგის განცხადებას თანდართული Shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო გზის სიგრძე დაახლოებით 2000 მეტრია. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო მისასვლელი გზის სიგრძე.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ქვესადგურამდე მისასვლელი გზის ნაწილი არსებულია, დაგეგმილია მისი გაფართოება, მოწესრიგება და მის ბოლო დაახლოებით 250 მ-იან მონაკვეთზე განხორციელდება გზის ახლიდან გაჭრა და ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა, ამასთან სურათი 2.2.4-ზე მითითებულია, რომ საპროექტო მისასვლელი გზის ბოლო ნაწილი წარმოადგენს არსებული გზის სარეკონსტრუქციო მონაკვეთს, აღნიშნულიდან გამომდინარე დაზუსტებას საჭიროებს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული სამუშაოები.
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნიადაგის ნაყოფიერ ფენის მოხსნა დაგეგმილია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში

არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.09.46.990). აღნიშნული საკადასტრო ერთეული მოიცავს საპროექტო ტერიტორიის ნაწილს, შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო მისასვლელი გზის მთლიან ფართობზე მოსახსნელი ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოცულობა.

- დოკუმენტის თანახმად, მისასვლელი გზის გაყვანა გათვალისწინებულია სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემის“ საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 29.09.46.990). გაცნობებთ, რომ „მიწის მიზნობრივი დანიშნულების განსაზღვრისა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მდგრადი მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების გარეშე მისი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყენება დაუშვებელია;
- დაზუსტებას საჭიროებს, დაგეგმილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში წარმოქმნილი ნარჩენების სახეობის და შემდგომი მართვის საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო